დანართი №6

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

(ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება)
შპს ახალი ქართული სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: **ლიანა კობესაშვილი**
წევრ(ებ)ი: **ლელა ბუბაშვილი**

ნაწილი I. შესავალი

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):</u>

☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ლ. კობესაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

☐ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა

■ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☐ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☐ **გეგმიური**

☐ **არაგეგმიური**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	შპს ახალი ქართული სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	404909532

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქალაქი თბილსი
იურიდიული მისამართი	ქ.თბილისი, სანქტ-პეტერბურგის ქ.N11
ფაქტობრივი მისამართი	ქ.თბილისი, ქუჩიშვილის ქ. N6
საფოსტო ინდექსი	0179
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://axaliqartuliskola.edu.ge/
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	newgeoschool@gmail.com
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	593175755

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

წარმოების საფუძველი (ბრძანების ნომერი და თარიღი)	განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 14.08.2023 წლის ბრძანება MES 5 23 0000990520
ვიზიტის თარიღი (არსებობის შემთხვევაში)	23.08.2023 წ.

V. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის შესახებ *(ივსება* **პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების წარმოებაზე)**

„ზოგადი განათლების შესახებ“საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა, რომლის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება სურს სკოლას.

ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ახალი ადგილი** (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყეებითი საფეხური	ქართული	ქ.თბილისი ქუჩიშვილის ქ. N6

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. ყოფისაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

VI. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

შპს ახალ ქართულ სკოლას იჯარის ხელშეკრულებით 6 წლის ვადით (2028 წლის ივნისის ჩათვლით) უფლება ჰქონდა ესარგებლა შპს „ყაზბეგის 47“ საკუთრებაში არსებული ფართით (ქ.თბილისი, ალ.ყაზბეგის N47, მე-3 სართული). 2023 წლის 30 ივნისის შეთანხმების საფუძველზე, მოხდა იჯარის შეწყვეტა 2023 წლის 01 აგვისტოდან. არსებული ვითარებიდან გამომდინარე შპს ახალი ქართულის სკოლის მიერ მოხდა ახალი ფართის მოძიება, რომელიც მდებარეობს ქ.თბილისი ქუჩიშვილის ქ.N6, გაფორმდა ექვსწლიანი ხელშეკრულება შენობის მფლობელთან „International Telcell, LLC (ყოფილი International Telcell inc, დელავერის შტატის კანონების საფუძველზე სათანადოდ ორგანიზებული და დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება)“. გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, სკოლამ გააკეთა განაცხადი ფართის ცვლილებაზე.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ბრძანებით განსაზღვრულმა ექსპერტთა ჯგუფმა, ვიზიტის დაწყებამდე შეისწავლა სკოლის თვითშეფასება და თანდართული დოკუმენტაცია საფეხურების მიხედვით. განიხილა ვიზიტის საორგანიზაციო საკითხები, შეიმუშავა დღის წესრიგი და წარმოების ფარგლებში დამატებით გამოსათხოვი დოკუმენტაციის ნუსხა, რომელიც დაწესებულებას გაეგზავნა წინასწარ.

ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტი განახორციელა ადგილზე, სკოლაში. ვიზიტი წარიმართა წინასწარ გათვალისწინებული დღის რეჟიმის შესაბამისად, მშვიდ და საქმიან გარემოში. ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტის ფარგლებში შეამოწმა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სტანდარტის შესრულება. გაესაუბრა სკოლის წარმომადგენლებს. ექსპერტების მიერ, წარმოების ფარგლებში შესწავლილი დოკუმენტების ანალიზისა და ინტერვიუების შედეგად დანახული მიგნებები გაცნობილი იქნა დაწესებულების წარმომადგენლებისთვის ვიზიტის დასასრულს.

VII. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიური სტატუსის მქონე მოსწავლეთა რაოდენობა
210	121

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

VIII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზესაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი 3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა)[1]

სტანდარტი 3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია

[1] გარდა მეორე სტანდარტის ნაილობივი შესაბამისობისა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ. კოზასაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

ინდიკატორი N3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადებში განახორციელოს შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები: ა)შეათანხმოს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შესაბამის უწყებასთან (სექტემბერი-ნოემბერი) ; ბ) მოიპოვოს დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ (აგვისტო-ნოემბერი); გ) მოიპოვოს დასკვნა შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ (აგვისტო-ნოემბერი); დ) უზრუნველყოს დამატებითი ვიდეოსამეთვალყურეო კამერების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

		შესყიდვა/სისტემის აწყობა (აგვისტო-სექტემბერი); ე) უზრუნველყოს ექიმის პოზიციაზე შესაბამისი კადრის მოძიება/დასაქმება (აგვისტო-ნოემბერი).
ინდიკატორი N3.5.1.3	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადებში განახორციელოს შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები: ა) შეისყიდოს და მოაწყოს პანდუსი (აგვისტო-სექტემბერი); ბ) მოაწყოს ადაპტირებული სველი წერტილი (აგვისტო-სექტემბერი).

VI. რჩევები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი 3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი ...		.....

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებიდან გამომდინარე

2.6.ა **სკოლამ უზრუნველყოს საევაკუაციო გზისა და გასასვლელის მოწესრიგება. ევაკუაციის გეგმით განსაზღვრულ ადგილზე დაამონტაჟოს ბიბლიოთეკაში არსებული 1 ცეცხლმაქრი** - სკოლამ შეიცვალა ფართი. სკოლამ წარმოადგინა ხელშეკრულება 94/08 გაფორმებული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი-სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სახემწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოსთან.ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს 500კვ.მ ზე მეტი ფართობის მქონე შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების სფეროს მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტთნ ან/და სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა და შესაბამისი წინადადების მომზადება. ხელშეკრულებას თან ახლავს საგადახდო დავალება მომსახურების გაწევაზე. (ხელშეკრულება გაფორმებეულია მიმდინარე წლის15 აგვისტოს).

2.6.ე. **შენობის შესასვლელის ვიდეომეთვალყურეობის უზრუნველსაყოფად დამონტაჟდეს დამატებით უსაფრთხოების 1 კამერა იმგვარად, რომ უზრუნველყოფილი იყოს შესასვლელის სრული ვიდეოკონტროლი. შენობის მესამე სართულზე, სკოლის შესასვლელში, დამონტაჟდეს დამატებით 1 კამერა** - სკოლამ შეიცვალა ფართი. <u>**სკოლას ვიდეოსამეთვალყურეო კამერები ვიზიტის პერიოდში არ ჰქონდა დამონტაჟებული**</u> მიმდინარე სარემონტო სამუშაოების გამო, თუმცა სკოლამ წარმოადგინა მომსახურების ხელშეკრულება გაფორმებული შპს ჰოსტინგთან და ინვოისი 15 სამეთვალყურეო კამერის გამართვასა და მონტაჟზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

2.6.გ. 2022 წლის 21 მარტის ერთობლივი ბრძანება №41/ნ/01-23/ნ შესაბამისად: შეირჩეს შესაბამისი სპეციალობის ექიმი, პაციენტთა მომართვიანობის აღიცხვა იწარმოებოდეს სამედიცინო მომსახურების სააღრიცხვო ფორმაში, კაბინეტი აღიჭურვოს სამედიცინო ტახტით - ექიმის პოზიციაზე გამოცხადებულია ვაკანსია, შეძენილია სამედიცინო კაბინეტის აღჭურვილობა სტანდარტის შესაბამისად, მომზადებულია **პაციენტთა მომართვიანობის აღიცხვის სამედიცინო მომსახურების სააღრიცხვო ფორმები.**

2.7. **შინაგანაწესიდან ამოიღოს ძალადაკარგული მე-5 მუხლი საკლასო ჟურნალით სარგებლობასა და პასუხისმგებელი პირების განსაზღვრის შესახებ** -შესრულებულია

3.4. წამყვან მასწავლებელთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებაში გაითვალისწინებული იყოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის N174/ნ ბრძანებით განსაზღვრული წამყვან მასწავლებელთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ფუნქციებიდან მინიმუმ ოთხი ფუნქცია. შესაბამისობაში მოვიდეს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში დასაქმებულთა სამუშაო პოზიციის შესახებ ასახული ინფორმაცია მასწავლებელთა ხელშეკრულებაში მითითებულ პოზიციებთან. დამატებითი მომსახურების პედაგოგთან გააფორმოს ხელშეკრულება შესაბამისი პოზიციის მითითებით-შესრულებული

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

დაწესებულება სრულად დაეთანხმა დასკვნის პროექტში ასახულ ხარვეზებს (წერილი N5/160. 06.09.2023 წ) და წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა დანართებით (წერილი MES 3 23 0001088385. 06/09.2023 წ.), კერძოდ: დანათი1. ვიდეო სისტემების მოწყობა - ინვოისი. მომსახურების ხელშეკრულება 23.08.2023; დანართი2. ხელშეკრულება ლ.სამხარაულის ეროვნულ ბიუროსთან N322923. 07.08.2023; დანართი3. ხელშეკრულება NSB1.5-1923-009. 01.09.2023, ინვოისი, საგადასახადო დავალება.
ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო წარმოდგენილ მასალას, გააანალიზა, მიიჩნია რეალისტურად და სრულად გაიზიარა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სკოლის ორგანიზაციული მოწყობა მოიცავს პარტნიორთა საერთო კრებას, სკოლის ადმინისტრაციას (სკოლის დირექტორი, სასწავლო პროცესის მენეჯერი, ხარისხის მართვის მენეჯერი, ბუღალტერი) დამხმარე პერსონალს (საქმისწამოების მენეჯერი, სამეურნეო და ტექნიკური ბაზის მენეჯერი, სკოლის ექიმი, ისტ მენეჯერი, საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი, ფსიქოლოგი, ბიბლიოთეკარი), პედაგოგიურ საბჭოს (სკოლის ყველა მასწავლებელი), საგნობრივ კათედრებს, ტექნიკურ პერსონალს (სასადილოს შეფ-მზარეული, დამლაგებელი, დაცვის თანამშრომელი) და დისციპლინურ კომიტეტს. შპს ახლი ქართული სკოლის მიერ წარმოდგნილი საქმიანობის მომწესრიგებელი შიდა სასკოლო დოკუმენტაცია, კერძოდ, სკოლის დებულება და ცალკეული სტრუქტურული ერთეულების დებულებები მკაფიოდ განსაზღვრავს სკოლის სტრუქტურული ერთეულების/პირების უფლება მოსილებასა და საქმიანობის კონკრეტულ სფეროებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საქმიანობები დაგეგმილია და გადანაწილებულია პერსონალსა და სტრუქტურულ ერთეულებს შორის. სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმით გაწერილი აქტივობებზე პასუხისმგებელი პირების ფუნქციები შესაბამისობაშია დებულებით განსაზღვრულ ვალდებულებებთან.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სკოლის მიერ წარმოდგენილი სკოლის სტრუქტურაში, სკოლის დებულებასა და სტრუქტურული ერთეულების დებულებებში წარმოდგენილი ფუნქცია/მოვალეობების და მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემების (პერსონალის შესახებ) მიხედვით შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციები და პასუხისმგებლობები განაწილებულია, არ ხდება ფუნქცია - მოვალეობების დუბლირება. სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მთლიანობაში სრულად მოიცავს ყველა იმ სფეროსა და არეალს, რომლებიც სკოლის ძირითად საქმიანობას და სტრატეგიული მიზნების შესრულებას უკავშირდება და უზრუნველყოფს სკოლის ხარისხის მართვის პოლიტიკის დოკუმენტით განსაზღვრულ ძირითად, მმართველობით და დამხმარე პროცესების მართვას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შპს ახალი ქართული სკოლის დებულება ბრძანება NN1/23 (17.07.2023 წ.);
- საშტატო განრიგი ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

- ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო ბაზის მონაცემები;
- ბიბლიოთეკის დებულება ბრძანება N1/18 (17.07.2023 წ);
- სკოლის ორგანიგრამა;

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

“შპს ახალ ქართულ სკოლაში” პრსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობით (საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“, საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“, საქართველოს განათლების, მეცნიერების,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება №174/ნ მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ, „ეროვნული სასწავლო გეგმა“) და სკოლის მიერ შემუშავებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტითა და შინაგანაწესით. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი არეგულირებს შპს ახალი ქართული სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკას, რაც გულისხმობს სკოლაში კვალიფიციური კადრის მოზიდვას, შერჩვას, დანიშვნას, ადაპტირების პროცესს, შეფასებას, სკოლის ადამიანური რესურსების/პერსონალის ინტელექტუალური პოტენციალის გაზრდას, მასწავლებლის სტატუსის ამაღლებას და საგანმანათლებლო საქმიანობაში მაღალი შედეგების მიღწევას. სკოლის შინაგანაწესით რეგულირდება სამუშაო და დასვენების დრო, შრომითი ურთიერთობის წარმოშობა, სკოლაში მასწავლებლის/თანამშრომლის მიღება და სამსახურებრივი შეთავსება, შრომითი ურთიერთობის პირობები, ზეგანაკვეთური სამუშაო, შრომითი ურთიერთობების შეჩერება, შეწყვეტა, პერსონალის დისციპლინარული პასუხისსმგებლობის საკითხები და სხვა.

სკოლის პერსონალთან გაფორმებულია კანონმდებლობისა და სკოლის შინაგანაწესისა და დებულების შესაბამისი ხელშეკრულებები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

სკოლის მიერ წარმოდგენილი ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით, სკოლის შინაგანაწესით, დებულებით და სკოლის არსებული პრაქტიკის ანალიზით დასტურდება, რომ სკოლა ორიენტირებულია პერსონალის შერჩევისა და მართვის სხვადასხვა ეტაპზე წინასწარ მოახდინოს არასასურველი შედეგების პრევენცია. ამ მიზნით სკოლა:

- დასაქმების ეტაპზე, გარდა განათლებისა და სამუშაო გამოცდილებისა ყურადღებას აქცევს პერსონალის თვისებებს;
- ითვალისწინებს კანონმდებლობით დადგენილ შეზღუდვებს სკოლაში დასაქმების მსურველთათვის (ნასამართლობა სხვადასხვა კატეგორიის დანაშაულისთვის);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ყოველი სასწავლო წლის დაწყებამდე, საჭიროების შემთხვევაში, განსაზღვრავს ახალი კადრის აყვანის საჭიროებას (სასწავლო პროცესის მენეჯერისა და ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის ვალდებულია სკოლის დირექტორს წარუდგინოს წინადადება ახალი კადრის აყვანის თაობაზე);

სკოლას განსაზღვრული აქვს:

- პერსონალის საქმიანობის შეფასების პოლიტიკა და პროცედურები;
- პერსონალის ფუნქია-მოვალეობები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები და და სამსახურებრივი შეთავსება;
- გადაცდომის და დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი და დებულება უზრუნველყოფს სკოლაში პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას. თითოეული პოზიციისათვის შემუშავებულია საკვალიფიკაციო მოთხოვნები სამუშაო აღწერილობების შესაბამისად. დადგენილია თანამდებობებზე აყვანის პროცედურები (როგორც ადმინისტრაციული, ისე მასწავლებლის). სკოლა მასწავლებელთა დასაქმების შემთხვევაში ხელმძღანელობს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს №174/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის“ შესაბამისად. თანამშრომლის მიღება (გარდა მასწავლებლისა) ხდება სკოლის ვაკანსიით დაინტერესებული პირის მიერ სკოლაში განცხადების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ზეპირიან/წერილობით) წარდგენით და სკოლის დირექტორთან გასაუბრების საფუძველზე. სკოლის დირექტორის გადაწყვეტილებით თანამშრომლის სამუშაოზე მიღება შესაძლებელია კონკურსის საფუძველზეც.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას**

შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადამოწმებული იქნა სკოლაში დასაქმებული მასწავლებლებისა და ადმინისტრაციის წარმომადგენლების პირადი საქმეები. სკოლაში დასაქმებულ მასწავლებელთა კვალიფიკაცია შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის №174/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებელთა საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესით“ გათვალისწინებულ სპეციალურ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. რც შეეხება სკოლის ადმინისტრაციას, ისინი დასაქმებული არიან სკოლის მიერ განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

სკოლაში გადაწყვეტილების მიღება ხორციელდება თანამშრომელთა მაქსიმალური ჩართულობით, რასაც ადასტურებს პედსაბჭოს და კათედრების საქმიანობა, მასწავლებელთა მიღების/დასაქმების წესი, მასწავლებლის ვაკანსიის შესავსებად გამოცხადებული კონკურსის შედეგების გასაჩივრების წესი, რომელიც განიხილავს საპრეტენზიო კომისიის ფუნქციონირებას, სტრატეგიული დაგეგმვი მეთოდოლოგია.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

სკოლის დამკვიდრებული პრაქტიკაა თითოეული თანამშრომლის შეტანილი წვლილის შეფასება სკოლის საქმიანობაში, შეფასების შედეგები შესაძლებელია გახდეს პერსონალის დაწინაურების, წახალისების, დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომების გამოყენების და გათავისუფლების საფუძველი. სკოლაში მოქმედ საგნობრივი კათედრებზე ხდება წარმატებული გამოცდილების და მასწავლებელთა მეირ შექმნილი რესურსების გაზიარება.

დაწესებულებას წარმატებული გამოცდილების გაზიარების ხელშეწყობა გაწერილი აქვს სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებშიც.

სკოლამ ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა სხვადასხვა ბრძანებები, რომელიც ადასტურებდა თანამშრომელთა წარმატებულ გამოცდილების აღიარებას სკოლის/დირექციის მხრიდან. შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების პროფესიონალიზმით შესრულებისათვის გაცემულია პრემიები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
- შინაგანაწესი (ბრძანება ბრძანება N1/27, 23.07.2023 წ.);
- დებულება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

- კონკურსის ოქმები;
- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები;
- ბრძანება N3/55 (01.02.2022 წ. დასაქმებულებზე პრემიიების გაცემის თაობაზე)

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასევბა.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.2 პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

სკოლას, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით, განსაზღვრული აქვს პერსონალის საქმიანობის შეფასების პოლიტიკა და პროცედურები. პერსონალის საქმიანობის შეფასების პოლიტიკის მიზნებია გამოავლინოს სკოლის პერსონალის შესაძლებლობები და ხელი შეუწყოს მათ შემდგომ განვითარებას, დროულად მოახდინოს პოტენციური სირთულეების იდენტიფიცირება და განსაზღვროს მათი მოგვარების სტრატეგიები.

სკოლის პერსონალის შეფასების ფორმებია პერსონალის მიერ ფუნქცია-მოვალეობების შესაბამისად შესრულებული სამუშაოს შეფასება, პერსონალის შეფასება კომპეტენციების მიხედვით. ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის შეფასება ხორციელდება წელიწადში ერთხელ, სასწავლო წლის ბოლოს და მოიცავს გასული პერიოდის განმავლობაში შესრულებული სამუშაოს ხარისხის შეფასებას და სკოლის სასწავლო მიზნებთან შესაბამისობის განსაზღვრას. პერსონალის შეფასების ინსტრუმენტია სისტემატიზებული შეფასების კითხვარები.მასწავლებლების შემთხვევაში მათ შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭროებებზე ზრუნავს მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც ახორციელებს საგაკვეთილო პროცესის მონიტორინგს, რეგულარულად ამოწმებს მასწავლებელთა პროფესიულ ცოდნასა და უნარებს. სასწავლო წლის განმავლობაში წინასწარ გაწერილი გეგმის მიხედვით ესწრება გაკვეთილებს და ადგენს მასწავლებელთა საჭიროებებს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

თანამშრომელთა მუშაობის შეფასების დროს გამოკვეთილი საჭიროებების შესაბამისად პედაგოგიური ასევე, ადმინისტრაციული პერსონალის პროფესიული განვითარებისათვის სკოლა გეგმავს და ორგანიზებას უწევს პრსონალის მონაწილეობას სხვადასხვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

პროექტების ფარგლებში დაგეგმილ ტრენინგებში/სემინარებში/სამუშაო შეხვედრებში/კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე. სკოლის ერთწლიან და შვიდწლიან სტრატეგიული განვითარების გეგმებში მნიშვნელოვანი მიმართულებაა სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლებაზე ზრუნვა - მასწავლებელთა პროფესიული განვითარება. მითითებულია აქტივობები მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მხარდაჭერისათვის. ხარჯები პერსონალის განვითარების მხარდაჭერისთვის გათვალისწინებულია სკოლის ბიუჯეტში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

სკოლაში ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო კონკრეტულ მაგალითებს, თუ როგორ უწყობს ხელს სკოლა პერსონალის გადამზადებას, კარიერულ ზრდას. დადგინდა, რომ სკოლა მუდმივად აწვდის პერსონალს ინფორმაციას არსებულ ტრენინგებზე და ხელს უწყობს დარეგისტრირებაში. სკოლის ხელშეწყობით განხორციელდა სკოლის საქმისმწარმოებლის გადამზადება, წარმოდგენილი იქნა მასწავლებლების მიერ გავლილი მასწავლებლის სახლის შესაბამისი ტრენინგები, რომლებიც მათ საჭიროებებზე იყო მორგებული, ასევე ბრძანებები იმ მასწავლებელთათვის დაფინანსების გამოყოფის თაობაზე, რომლებსაც სჭირდებოდათ ფასიანი მომსახურება პროფესული ზრდისათვის.

პროფესიული განვითარების ღონისძიებების დაგეგმვა ემსახურება სკოლის პერსონალის კარიერულ ზრდას. ზრუნვა პერსონალის კარიერულ ზრდაზე გათვალისწინებულია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**

სკოლის მიერ შემუშავებული ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკის დოკუმენტით განსაზღვრულია პერსონალის სკოლაში ადაპტაციის პროგრამა. აღნიშნული პროგრამა ითვალისწინებს ახალი პერსონალისთვის სამუშაო სივრცის გაცნობას, ახალი პერსონალის წარდგენას სკოლის პერსონალისათვის, შინაგანაწესის, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის, შრომითი ხელშეკრულებისა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სხვა ორგანიზაციულ-მარეგულირებელი დოკუმენტაციის გაცნობას, გაცნობითი ხასიათის მოკლე ტრენინგის ჩატარებას საქმისწარმოების სისტემის ან სხვა საჭიროების შემთხვევაში, საჭირო დოკუმენტების გადაცემას. შესაძლებელია მენტორის მიჩენა და სხვა.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.**

სკოლის მიერ შემუშავებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის მიხედვით სკოლა იღებს ვალდებულებას მხარი დაუჭიროს / წაახალისოს (ფინანსური დახმარება გაუწიოს) სკოლის პერსონალს თუ კი გამოვლენილი საჭიროებიდან გამომდინარე მონაწილეობას მიიღებენ სხვადსხვა ტრენინგებსა და სასწავლო პროგრამებში.

სკოლის შინაგანაწესით გაწერილია რა დროს, ვის მიერ და რის საფუძველზე შეიძლება იქნას მიღებული წახალისება პერსონალის განვითარებაზე. ასევე გათვალისწინებულია, რომ დასაქმებულის მიმართ შეიძლება ერთდროულად გამოყენებულ იქნას წახალისების რამდენიმე ფორმა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური რესურსების მართვა;
- ერთწლიანი და სტრატეგიული განვითარების გეგმები;
- მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი (ბრძანება N1/18, 2020წლის 24 დეკემბერი)
- მასწავლებელთა მიერ გავლილი ტრენინგების დამადასტურებელი ცნობები;
- პერსონალს გადამზადების სერტიფიკატები;
- ბრძანებები მასწავლებელთათვის პრემიების გამოყოფის თაობაზე;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

- ბრძანებები პერსონალისათვის თანხიდ გამოყოფის თაობაზე პროფესიული გადამზადებისათვის.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

ა

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.3 პროცესის მართვა

3.3.1 სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად**

სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება ციკლს: დაგეგმვა, განხორციელება, შეფასება, განვითარება. ეს ეხება როგორც სასკოლო კურიკულუმებს და სასწავლო პროცესს, ასევე დამხმარე პროცესებს სკოლის პერსონალის შეფასებას, საჭიროების გამოვლენას და შესაბამისი ინტერვენციების განხორციელებას, სკოლის მატერიალური რესურსის შეფასებას სასწავლო პროცესის საჭიროებიდან გამომდინარე და განვითარებას, ბიუჯეტისა და სამოქმედო გეგმების შემუშავებას, განხორციელებას, რევიზირებას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2.**იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

სკოლის მიერ შემუშავებულ ხარსხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტში იდენტიფიცირებულია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები. მმართველობითი პროცესები: სტრატეგიული დაგეგმვა, წლიური დაგეგმვა, ხარისხის უზრუნველყოფა აღწერილია შესაბამისად სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში და ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმნეტში, სკოლის ძირითადი პროცესები - კურიკულუმის განვითარება, სასწავლო პროცესის ორგანიზება და მართვა აღწერილია კურიკულუმს განვითარების მეთოდოლოგიასა და სასკოლო სასწავლო გეგმაში, სკოლის დამხმარე პროცესები - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის წარმოება, მოსწავლის სერვისების განხორციელება, საბიბლიოთეკო სერვისების განხორციელება, ფინანსური, ადამიანური და მატერიალური რესურსის მართვა, უსაფრთხოების უზრუნველყოფა და წესრიგის დაცვა, საზოგადოებასთან ურთიერთობა, საქმისწარმოება (დოკუმენტბრუნვა) აღწერილია შესაბამის დებულებებში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

სკოლას შემუშავებლი აქვს განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი, რომლითაც დგინდება სკოლაში განცხადებისა და საჩივრის განხილვის პროცედურები და საშუალებას აძლევს სკოლას პროცესი გახადოს ორგანიზებული და დანერგოს თანმიმდევრული მიდგომები. გაწერილია სკოლაში საჩივრის/განცხადების განხილვის პრინციპები, განცხადების/საჩივრის წარდგენის წესი, დადგენილა განცხადების განხილვის ვადები, დისციპლინური საჩივრის განხილვის ზოგადი წესი დისციპლინურ გადაცდომებთან დაკავშირებით.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები. სკოლაში**

სკოლის შინაგანაწესით რეგულირდება დისციპლინური გადაცდომის და შესაბამისი პასუხისმგებლობის სახეები. სკოლაში ვაკანტურ ადგილზე კონკურსის ჩატარებისას კანდიდატს შეუძლია კომისიის გადაწყვეტილება გაასაჩივროს საპრეტენზიო კომისიაში. საჩივრების მიღება და განხილვა ხდება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით, სკოლაში ფუნქციონირებს სააპელაციო კომიტეტი.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული დაგეგმვი მეთოდოლოგია,
- საქმისწარმოები წესი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- მოსწავლეთა მხარდაჭერა;
- განაცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი (ბრძანება N1/18, 17.07.2023 წ);
- შინაგანაწესი;
- სტრუქტურული ერთეულების დებულებები;
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა;
- მატერიალური რესურსით სარგებლობის წესი;
- კურიკულუმის დაგეგმვის მეთოდოლოგია.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები

სკოლის დირექციის განმარტებით სკოლა მართვის პროცესებთან დაკავშირებით სისტემატურად ახდენს სასკოლო საზოგადოების ინფორმირებას, იღებს უკუკავშირს და ახდენს შესაბამის რეაგირებას მიღებულ უკუკავშირზე. ამისი ერთ-ერთი მტკიცებულებაა სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომლის თანახმადაც სტრატეგიული დაგეგმვის 5 ძირითადი ეტაპიდან პირველი მოიცავს სკოლის პერსონალის, ბენეფიციარებისა (მშობლები, მოსწავლეები) და სხვა დაინტერესებული პირებისაგან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინფორმაციის შეგროვებას დაწესებულების შიდა პროცესების, დამოკიდებულებებისა და ხედვების შესახებ. ინფორმაციის შეგროვებისათვის, საჭიროებისამებრ, სკოლამ შეიძლება გამოიყენოს თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდები (ანკეტირება, ინტერვიუ, ფოკუს-ჯგუფი და სხვა). ინფორმაციის შეგროვებისა და ანალიზის ეტაპზე სკოლის დირექტორი აქტიურ კომუნიკაციას ამყარებს სასკოლო საზოგადოებასთან, ისმენს მათ შენიშვნებს და რეკომენდაციებს და საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს აღნიშნული რეკომენდაციების შესაბამის დოკუმენტებში ასახვას.

სკოლის ვებგვერდზე განთავსებული სკოლის მარეგულირებელი დოკუმენტები საჯაროდაა ხელმისაწვდომი. ვებგვერდს აქვს საკომუნიკაციო ფუნქცია, რომელიც საშუალებას აძლევს სასკოლო საზოგადოებას მოახდინოს უკუკავშირი მისთვის აქტუალურ/მნიშვნელოვან ინფორმაციაზე.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.**

სკოლის მართვის პროცესში განსაკუთრებული როლი ენიჭება კათედრებს, რომლებიც აერთიანებს ყველა შესაბამისი საგნის მასწავლებელს, და პედაგოგიურ საბჭოს. სხვადასხვა სახის გადაწყვეტილების მიღებამდე სკოლა უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების მონაწილეობით ჩაატაროს კვლევები (მაგ. სტრატეგიული დაგეგმვა) და კლევის შედეგებზე დაყრდნობით განახორციელოს სკოლაში რიგი ცვლილებები. აღნიშნული პროცესები უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებას სკოლის მართვის პროცესში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სტრუქტურა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- კათედრებისა და პედსაბჭოს ფუნქციები;
- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- სკოლის ვებგვერდი.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას**

სკოლის შენობა მდებარეობს ქუჩიშვილის 6 ნომერში. მას აქვს შიდა ეზო. სკოლის დირექტორმა მოსწავლეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით (23.08.2023წ. წერილი N5/146) მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე გადასასვლელის დახაზვისა და შესაბამისი ნიშნულის დადგმის თხოვნით.

უცხო პირები სკოლაში დაიშვებიან მხოლოდ წინასწარ შეთანხმებით, განხორციელდება სკოლაში შემოსული პირების აღრიცხვა.

უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით სკოლას შემუშავებული აქვს „უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები“, რომელიც შეთანხმებულია განათლებისა და მეცნირების სამინისტროსთან (MES 3 22 0000867788, 02/08/2022) და დამტკიცებულია სკოლის დირექტორის მიერ (ბრძანება N1/43, 26.08.2022 წ.). <u>**სკოლას ვიდეოსამეთვალყურეო კამერები ვიზიტის პერიოდში არ ჰქონდა შეძენილი და დამონტაჟებული**</u> (სკოლაში მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები). სკოლამ წარმოადგინა მომსახურების ხელშეკრულება გაფორმებული შპს ჰოსტინგთან და ინვოისი 15 სამეთვალყურეო კამერის გამართვასა და მონტაჟზე.

სკოლას აქვს ექიმის კაბინეტის აღჭურვილობა, ოთახი გამოყოფილი კაბინეტის მოსაწყობად. შემუშავებულია სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები. <u>**სკოლას ვიზიტის პერიოდში არ ჰყავდა ექიმი. ექიმის პოზიციაზე გამოცხადებულია ვაკანსია.**</u>

<u>**სკოლას არ ჰქონდა შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა უფლებამოსილ ორგანოსთან.**</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

<u>**სკოლას არ ჰქონდა შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნა,**</u> თუმცა წარმოადგინა კონტრაქტი N2001322923 გაფორმებული სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსთან. კონტრაქტის საგანს წარმოადგენს საინჟინრო ექსპერტიზის საექსპერტო სამუშაოების შესრულება.

<u>**სკოლას არ ჰქონდა დასკვნა შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ,**</u> თუმცა სკოლამ წარმოადგინა ხელშეკრულება 94/08 გაფორმებული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი-სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოსთან. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს 500კვ.მ-ზე მეტი ფართობის მქონე შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების სფეროს მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტთნ ან/და სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა და შესაბამისი წინადადების მომზადება. ხელშეკრულებას თან ახლავს საგადახდო დავალება მომსახურების გაწევაზე (ხელშეკრულება გაფორმებეულია მიმდინარე წლის 15 აგვისტოს). სკოლას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შპს „ჯეო სეიფთან“ მომსახურების ხელშეკრულების საგანია კვალიფიციური მომსახურების მიღება შრომის უსაფრთხოების საკითხებში. უსაფრთხოების სპეციალისტის მომსახურებაზე. სკოლის შიდა უსაფრთხოების დაცვას უზრუნველყოფს სკოლის დარაჯი.

დაწესებულებამ წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დაადასტურა, რომ აქვს მზაობა მოკლევადიან პერიოდში გამოასწოროს აღნიშნული ხარვეზები კერძოდ:

ა) საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შეათანხმოს შესაბამის უწყებასთან (სექტემბერი-ნოემბერი);

ბ) მოიპოვოს დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ (აგვისტო-ნოემბერი);

გ) მოიპოვო დასკვნა შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ (აგვისტო-ნოემბერი)

დ) დამატებითი ვიდეოსამეთვალყურეო კამერების შესყიდვა/სისტემის აწყობა (აგვისტო-სექტემბერი)

ე) ექიმის პოზიციაზე შესაბამისი კადრის მოძიება/დასაქმება (აგვისტო-ნოემბერი)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

წარმოდგენილ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში დაწესებულებას განსაზღვრული აქვს აქტივობები, ვადები, ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსები, ჩართული მხარეები. გათვლილი აქვს რისკების დადგომის ალბათობა.წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის შედგენის ეტაპზე არსებული მტკიცებულებები დანართის სახით.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადებში განახორციელოს შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები.

2.სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას

სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას მის მიერ შემუშავებული და სამინისტროსთან შეთანხმებული „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების“ შესაბამისად. მოსწავლეთა სასკოლო უსაფრთხოების დაცვის მიზნით აწყობს საინფორმაციო ხასიათის შეხვედრებს, სადაც ხდება მოსწავლეთა უფლებებისა და წესების, ასევე, სკოლის საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმის გაცნობა ყველა მოსწავლისთვის. სკოლა ახალ პირობებშიც (ახალი ფართი, ახალი საევაკუაციო გეგმა და ა.შ) გეგმავს უსაფრთხოების დოკუმენტით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებას. სკოლა გეგმავს მოსწავლეებისთვის საგანმანათლებლო-საინფორმაციო კამპანიას ძალადობის, დისკრიმინაციის, ბულინგისა და კიბერბულინგის წინააღმდეგ, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, სკოლაში სასწავლო წლის განმავლობაში ხორციელდება მოსწავლის კანონიერ წარმომადგენლებთან საგანმანათლებლო-საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებები ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა: მშობლის როლი ბავშვის განათლებასა და აღზრდაში, შვილთან ეფექტური კომუნიკაცია, ნაადრევი ქორწინება და მისი გავლენა ბავშვის ფსიქოლოგიაზე და ასე შემდეგ. სკოლას ჰყავს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირი

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3.სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

სკოლას ჰყავს ფსიქოლოგი. ფსიქოლოგს შემუშავებული აქვს სამუშაო გეგმა, რომელიც ხელს უწყობს აღსაზრდელის სრულყოფილ ფსიქიკურ განვითარებას, შეიმუშავებს და მიაწოდებს რეკომენდაციებს დირექციას, პედაგოგებს და მშობლებს მოსწავლეთა ფსიქოლოგიური აღზრდის საკითხებზე. სკოლას ასევე შემუშავებული აქვს დოკუმენტი „მოსწავლეთა მხარდაჭერის ჯგუფის პოლიტიკა“, რომლის მიხედვითაც სკოლაში შეიქმნება ჯგუფი, რომლის ერთ-ერთი ვალდებულებაც იქნება მოსწავლეთა განვითარებისათვის ეფექტური პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნა, მოსწავლეთა სირთულეებისა და არსებული პრობლემების იდენტიფიცირებისა და დახმარების პროცესის ხელშეწყობა, მათი ინდივიდუალური შესაძლებლობების გამოვლენა, ინდივიდუალური საჭიროებებისა და ინტერესების გათვალისწინებით დახმარება, ფიზიკური და ფსიქო-ემოციური განვითარების ხელშეწყობა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4.სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას

სკოლას შემუშავებული აქვს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები. მექანიზმებით განსაზღვრულია დამლაგებლისთვის შენობის ყოველდღიური, ყოველკვირეული, ყოველთვიური და გენერალური დასუფთავების სტანდარტული მოთხოვნები. მოთხოვნები სანიტარულ-ტექნიკური აღჭურვილობის დასუფთავებასა და შენახვაზე, კვების ბლოკის დასუფთავებაზე, დეზინფექციის, ნაგავშემკრებ კონტეინერების, სკოლის ტერიტორიაზე დასუფთავების მონიტორინგის, მწერებისა და მღრღნელების წინააღმდეგ ღონისძიებების ჩატარების შესახებ და სხვა.

სკოლას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შპს „აქვაპოინტთან“. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს დეზინფექცია, დერატიზაციის მომსახურება.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

5.სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას

სკოლას დამტკიცებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები (ბრძანება N1/20, 17.07.2023 წ), სადაც განსაზღვრულია იმ პირთა ვალდებულებები, რომლებსაც უწევთ პერსონალურ მონაცემთა დამუშავება. სკოლის მონაცემთა დაცვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

მარეგულირებელი წესი და მონიტორინგის მექანიზმები აყალიბებს დასაქმებულთა/მოსწავლეთა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სტრატეგიას, მონაცემთა დაცვის ძირითად პრინციპებსა და მონიტორინგის მექანიზმებს. სკოლას განსაზღვრული აქვს მონაცემებზე წვდომის უფლების მქონე პირები და მათი უფლებამოსილებები, პასუხისმგებლობის ფორმები. სკოლას ყოველივე აღნიშნულის ჯეროვნად შესრულების მიზნით განსაზღვრული ჰყავს პერსონალური მონაცემების დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში ვალდებულია ინფორმაცია მიაწოდოს სკოლის დირექტორს.
სკოლაში მუშავდება მოსწავლეების, თანამშრომლებისა და მშობლების პერსონალური მონაცემები. მათ შორის, ისეთი მონაცემები როგორიცაა - ჯანმრთელობის მდგომარეობა, სხვადასხვა სახის ნასამართლობის შესახებ ინფორმაცია, საკონტაქტო ინფორმაცია და სხვა.
სკოლასა და მშობელს შორის, ასევე სკოლასა და დასაქმებულს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია შესაბამისი მუხლი, რომლის საფუძველზეც მხარეები თანხმობას აცხადებენ, რომ დამუშავდეს პერსონალური ინფორმაცია სკოლის მიერ.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

6.სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები
სკოლა მუდმივად ახორციელებს დასაქმებულ პირთა, მოსწავლეებისა და მშობლების ინფორმირებას ინფორმაციული უსაფრთხოების არსსა და მნიშვნელობაზე. სკოლა იყენებს ლიცენზირებულ პროგრამებს, სკოლაში არსებული პერსონალური ინფორმაცია არ ზიარდება ვებგვერდზე და სოციალურ ქსელში, გარდა წინასწარ მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან შეთანხმებული ინფორმაციისა. სკოლას ჰყავს საინფორმაციო მენეჯერი, რომელიც პასუხისმგებელია ვებგვერდისა და სოციალური ქსელის მართვაზე. ისტ მენეჯერი ახდენს ინფორმაციისა და ფაილების სარეზერვო კოპირებას.
წელიწადში არანაკლებ ერთხელ ხორციელდება დასაქმებულ პირთა, მოსწავლეებისა და მშობლების ინფორმირება ინფორმაციული უსაფრთხოების არსსა და მნიშვნელობაზე.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

სკოლის მიერ შემუშავებული „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების“ შესაბამისად სკოლა გეგმავს განახორციელოს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის შეფასება მასწავლებლების, მოსწავლეების და მათი კანონიერი წარმომადგენლების მიერ. შეფასებისთვის გამოყენებული იქნება შეფასების კითხვარი, რომელიც საშუალებას მისცემს სკოლას მოახდინოს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირება, მიიღოს ინფორმაცია კითხვარის შემვსები პირისგან იდენტიფიცირებული პრობლემის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და პრობლემის გადაწყვეტის გზებზე. შეფასების დროს, მის ჩატარების წესს, ფორმას და შეფასების კითხვარის შინაარსს განსაზღვრავს სკოლის დირექტორი.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება N1/43 უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობების დამტკიცების თაობაზე. 26.08,2022 წ.;
- შეთანხმება უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობებზე MES 3 22 0000867788, 02/08/2022);
- მომსახურების ხელშეკრულება გაფორმებული შპს ჰოსტინგთან;
- სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება;
- შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა დანართებით.

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1 სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

შპს ახალ ქართულ სკოლას იჯარის ფორმით 6 წლის ვადით სარგებლობაში აქვს შენობა, რომელიც განთავსებულია თბილისი, გ. ქუჩიშვილის ქ N6-ში, საკადასტრო კოდი N01.15.03.017.005, მიწის ფართობია 296.00 კვ.მ, აქედან: შენობა ნაგებობა N1, N2 I სართული საერთო ფართით 167.00კვ.მ.; II სართული საერთო ფართით 129.24 კვ.მ.;III სართული საერთო ფართით 135.97 კვ.მ. შენობა ნაგებობა 01/4; IV სართული საერთო ფართით 152.95 კვ.მ. შენობა ნაგებობა 01/4; ნახევარსარდაფი საერთო ფართით 42.87 კვ.მ. შენობა ნაგებობა 01/4; შენობა ნაგებობა 03/1 საერთო ფართით 4.59 კვ.მ.; სხვენსართული საერთო ფართით 141.83 კვ.მ. შენობა ნაგებობა 01/4; (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან 02.08.2023წ.).
სკოლაში ვიზიტის დროს მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები. სკოლას დადებული აქვს ხელშეკრულებები მომსახურების გაწევაზე, რომლის მიხედვით 2023 წლის 10 აგვისტოდან 31 აგვისტომდე მოხდება სხვადასხვა ტიპის სამუშაოების ჩატარება (ელექტრომოწყობილობისა და ინტერნეტის ქსელის მოწყობა, იატაკისა და სახურავის დემონტაჟი/მონტაჟი, ოთახების გადატიხვრა, სამღებრო სამუშაოები და სხვა).
სარემონტო სამუშაოების დამთავრების შემდეგ სკოლაში იფუნქციონირებს: 13 საკლასო ოთახი (სკოლას აქვს მიღება-ჩაბარების აქტებით დადასტურებული 236 მერხი), ერთი კომპიუტერული ლაბორატორია (10 კომპიუტერით), საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია თავისი აღჭურვილობით, რესურს ოთახი, სპორტული დარბაზი გასახდელებით, ბიბლიოთეკა (1655 ერთეული წიგნადი ფონდით და კომპიუტერით), რომლის სივრცე სხვადასხვა ღონისძიებების ჩატარებისთვისაც იქნება გათვლილი, ექიმის კაბინეტი (1 კომპიუტერით), კვების ბლოკი, სანიტარ-ჰიგიენური ნორმების დაცვით აღჭურვილი 8 სველი წერტილი, მათ შორის 1 შშმ პირთათვის. სკოლას ადმინისტრაციის სარგებლობაში აქვს 6 კომპიუტერი და ლეპტოპი.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

სკოლის არსებული პრაქტიკა მიუთითებს, რომ დაწესებულება ზრუნავს საერთო სარგებლობის სივრცეების და მატერიალური რესურსის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე სასკოლო საზოგადოებისათვის. რისთვისაც სკოლას გაწერილი აქვს მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი, შემუშავებულია ბიბლიოთეკის დებულება და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, გამოყოფილია სივრცე ბიბლიოთეკისათვის და კომპიუტერული კლასისათვის, რომელიც საშუალებას მისცემს სასკოლო საზოგადოებას ისარგებლოს სკოლის ციფრული ტექნიკითა და ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდით. იფუნქციონირებს სამკითხველო დარბაზი, სადაც განთავსებული იქნება კატალოგი და მეთოდური ლიტერატურა. ბიბლიოთეკას გააჩნია ელექტრონული კატალოგი, ელექტრონული რესურსების ბაზა და ჟურნალი.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**

დირექციის განმარტებით რემონტის შემდეგ სკოლის ინფრასტრუქტურა სრულად იქნება ადაპტირებული სსსმ მოსწავლეებისათვის. კერძოდ, სკოლის შესასვლელში და ყველა კიბეზე დამონტაჟდება მოძრავი პანდუსი. იქნება ადაპტირებული სველი წერტილი შშმ პირთათვის. ყველა მოსწავლისთვის ხელმისაწვდომი იქნება სკოლის ყველა კაბინეტი, კერძოდ, საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული ლაბორატორია, სპორტული დარბაზი. სსსმ მოსწავლეებისათვის გათვალისწინებულია რესურსოთახი.

<u>ვიზიტის პერიოდში სკოლის შენობა არ იყო ადაპტირებული შშმ პირებისათვის</u>

დაწესებულებამ წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დაადასტურა, რომ აქვს მზაობა მოკლევადიან პერიოდში გამოასწოროს აღნიშნული ხარვეზები კერძოდ:

ა) შეისყიდოს და მოაწყოს პანდუსი (აგვისტო-სექტემბერი);

ბ) მოაწყოს ადაპტირებული სველი წერტილი (აგვისტო-სექტემბერი).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმოდგენილ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში დაწესებულებას განსაზღვრული აქვს აქტივობები, ვადები, ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსები, ჩართული მხარეები. გათვლილი აქვს რისკების დადგომის ალბათობა.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადებში განახორციელოს შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები.

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**

სკოლას აქვს შიდა ეზო, რომელიც კეთილმოეწყობა და იქნება რეკრეაციული ზონა, სადაც შესაძლებელი იქნება სხვადასხვა ღონისძიებების ჩატარება. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ბიბლიოთეკის სივრცე, სპორტული დარბაზი და ეზო გამოყენებული იქნება სხვადასხვა კონფერენციების, კონკურსების, ინტელექტუალური ვიქტორინების ჩასატარებლად. ასევე იგეგმება სკოლის ბიბლიოთეკისა და დერეფნების გამოყენება სამკითხველო და საგამოფენო სივრცეებად.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

5. **სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).**

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლას გააჩნია გრიფირებული სახელმძღვანელოების ფონდი, აგრეთვე დამატებითი ლიტერატურა, რომელიც აუცილებელია კურიკულუმების განხორციელებისათვის. კურიკულუმების განხორციელებას ხელს შუწყობს სკოლაში არსებული კომპიუტერული ლაბორატორია და კომპიუტერული ტექნიკა. საბუნებისმეტყველო ლაბორატორიისათვის შეძენილია ლაბორატორიის აღჭურვილობა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- იჯარის ხელშეკრულება;
- შენობა-ნაგებობის გეგმა;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- წიგნადი ფონდის ელექტრონული კატალოგი;
- მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი. ბრძანება N1/21
- შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

სკოლაში იფუნქციონირებს კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც აღიჭურვება კომპიუტერებით. ადმინისტრაციული სარგებლობისათვის სკოლას აქვს პრინტერი, სკოლა უზრუნველყოფილია უწყვეტი ინტერნეტით, გამართულად მუშაობს Wi-Fi სისტემა. სკოლას ხელშეკრულება აქვს დადებული „სილქნეტთან“ ინტერნეტის მიწოდების თაობაზე.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

სკოლას შემუშავებული აქვს მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი, რომელშიც გაწერილია პასუხისმგებელი პირის მოვალეობებიც. ინფორმაციული ტექნოლოგიები ხელმისაწვდომი იქნება სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისთვის. მათ საშუალება ექნებათ კომპიუტერულ ლაბორატორიაში, ასევე სამასწავლებლოსა და ბიბლიოთეკაში ისარგებლონ სასკოლო რესურსებით. როგორც საგაკვეთილო ასევე არასაგაკვეთილო პროცესში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი

სკოლაში საქმისწარმოება ხდება მატერიალურად და ხორციელდება სკოლის დირექტორის 2022 წლის 23 თებერვლის N1/23 ბრძანებით დამტკიცებული „საქმისწარმოების წესები“-ს შესაბამისად. სკოლამ წერილით მიმართა განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას, eflow სისტემაში ჩართვის მოთხოვნით. სკოლას შემუშავებული და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს ასევე „საქმისწარმოების წესები“, რომელიც უზრუნველყოფს დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის გამართულად მუშაობას. საქმისწარმოებასთან დაკაშირებული შესაბამისი ცვლილებების შეტანა დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით. სკოლის საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელია სკოლის საქმისმწარმოებელი, სკოლას აქვს სარეგისტრაციო ჟურნალი: საკადრო ბრძანებების, საერთო ბრძანებების და შრომითი ხელშეკრულებების აღრიცხვის ჟურნალი.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2.სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა

სკოლას დადებული აქვს ხელშეკრულება შპს „სქულბუქ“-თან, რომელიც უზრუნველყოფს კომპიუტერული პროგრამა „SCHOOL BOOK 1.5”-ისა და მასზე მიბმული ვებგვერდის საშუალებით სკოლის სასკოლო ელექტრონული ჟურნალის წარმოებას. ხელშეკრულება ავტომატურად გრძელდება ყოველწლიურად და ამგვარი პროლონგაციების რაოდენობა შეზღუდული არ არის. <u>**სკოლას დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა არ ჰქონდა.**</u>

<u>**დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციის მტკიცებულებად წარმოადგინა 01.09.2023 წ. გაფორმებული ხელშეკრულება შპს „სქულ მენეჯმენტ სისტემს“- თან NSB1.5-1923-009, ინვოისი და საგადახდო დავალება, რომელითაც დასტურდება რომ სკოლა უკვე უზრუნველყოფილია დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემით “SchoolBook1.5”**</u>

3.სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

სკოლის პროფილი სრულყოფილად არის ასახული ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (eschool).

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4.სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან

სკოლის საქმისმწარმოებელი უფლებამოსილია საჯარო ინფორმაციის გაცემაზე. ინფორმაციების, უკუკავშირებისა და ანგარიშების მიწოდებას სკოლა ახორციელებს კანონმდებლობით დადგენილ ვადებში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- „საქმისწარმოების წესები“(მატერიალური საქმისწარმოება);
- წერილი ვაკე-საბურთალოს საგანმანათლებლო რესურსცენტრს N5/145 22.08.2023წ.;
- წერილი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას N5/144 22.08.2023წ.;
- „საქმისწარმოების წესები“(ელექტრონული საქმისწარმოება);
- სკოლის დირექტორის ბრძანება N1/27;
- სკოლის დირექტორის ბრძანება N1/28;
- ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემები;
- ხელშეკრულება მომსახურების შესახებ შპს „სქულბუქ“-თან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

3.6.3 სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სკოლას 2018 წლიდან აქვს Space Host-თან დადებული ჰოსტინგის ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც გათვალისწინებულია გამოყოფილი სერვერების, ვირტუალური სერვერების, გაზიარებული ჰოსტინგის, ელ.ფოსტის, ფაილების საცავისა და სხვა მომსახურება. ხელშეკრულების ავტომატური განახლება ხდება ყოველწლიურად. სკოლას აგრეთვე აქვს დადებული დომენური სახელის რეგისტრაციის ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც რეგისტრატორი იღებს ვალდებულებას გაუწიოს რეგისტრანტს სარეგისტრაციო მომსახურება დომენურ სახელთან დაკავშირებით. სკოლას ოფიციალური ვებგვერდია https://axaliqartuliskola.edu.ge/, სოციალური ქსელია:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

https://www.facebook.com/axaliqartuliskola/, ელექტრონული ფოსტაა: newgeoschool@gmail.com. მათი საშუალებით ხდება სასკოლო საზოგადოების წევრების ინფორმირება და კომუნიკაცია.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;

სკოლის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელებში სისტემატურად ხდება ინფორმაციის განახლება და განთავსება, განთავსებული ინფორმაცია და განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების(ფორმალური და არაფორმალური) ვიდეო-ფოტო მასალა უტყუარია და სანდო; მშობელთა თანხმობა მოსწავლის პერსონალური მონაცემების ან/და გამოსახულებების გამოქვეყნებაზე, მშობელთან დადებულ ხელშეკრულებაშია გაწერილი.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად

სკოლის მიერ შემუშავებულ დოკუმენტებში (სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია და სხვა), არის გაწერილი, რომ მოსწავლის/მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უკუკავშირი გათვალისწინებული იქნება სკოლის საქმიანობის გასაუმჯობესებლად. კერძოდ, სკოლა სოციალური ქსელების ჩატებისა და ვებგვერდის საშუალებით, სასკოლო საზოგადოებისაგან აგროვებს ინფორმაციებს, ისმენს მათ შენიშვნებს და საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფს აღნიშნული რეკომენდაციების დასკვნით დოკუმენტებში ასახვას. სკოლას შემუშავებული და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირებისა და მშობელთან ურთიერთობის წესი“, რომელშიც აღნიშნულია, რომ მასწავლებელი არჩევს მშობლისთვის სასურველ კომინიკაციის საშუალებას(სატელეფონო ზარი, ელფოსტა, წერილის გაგზავნა და სხვა), მშობელთან შეხვედრაზე ან სოციალურ ქსელში განიხილება სხვადასხვა გადაწყვეტილებები (წესები, რეგულაციები, შეფასების სისტემა და სხვა), მშობელთა და მოსწავლეთა საჭიროებების კვლევა ხდება ასევე სოციალური ქსელების საშუალებით. სკოლას შემუშავებული აქვს მშობელთა კითხვარი, რომლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

საშუალებითაც ხდება მათგან უკუკავშირის მიღება სკოლის ფიზიკური მდგომარეობის, საგანმანათლებლო პროგრამის ზოგადი ხარისხის, ინფორმირებულობის ხარისხის, მოსწავლის საჭიროების, სწავლების ხარისხის შესახებ.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას

სკოლის მოქმედ ვებგვერდზე ინფორმაციის გაზიარება ხორციელდება ქართულ ენაზე.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

სკოლის მოქმედი ვებგვერდის სტრუქტურა ასეთია: „მთავარი გვერდი“, „ჩვენ შესახებ“(მისია, ხედვა, სკოლის სტრუქტურა, შინაგანაწესი, სასკოლო სასწავლო გეგმა), „სიახლეები“, „სასწავლო პროცესი“, „დოკუმენტაცია“(სკოლის დებულება, სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, წესრიგის დაცვის, სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები, ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა, ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება, მოსწავლეთა მხარდაჭერის ჯგუფის პოლიტიკა, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები, განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი), „კონტაქტი“. სკოლამ 2023 წლის 3 ივლისს შეიცვალა მფლობელი, ამასთან დაკავშირებით აუდიტის მიერ გაცემულია დასკვნა, რომ სკოლას არ აქვს დავალიანება. ეს დასკვნა ატვირთულია ვებგვერდზე. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

შედეგები, იგივე მიზეზის გამო (მფლობელის შეცვლა), სკოლის ვებგვრდზე არ არის ატვირთული, თუმცა გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ 2023-24 სასწავლო წლის ბოლოს სკოლა გეგმავს შედეგების გასაჯაროებას და ვებგვერდზე ატვირთვა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ვებგვერდი;
- სოციალური ქსელი;
- მშობელთან/მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელთან დადებული ხელშეკრულება;
- დომენური სახელის რეგისტრაციის ხელშეკრულება;
- ჰოსტინგის ხელშეკრულება;
- შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა დანართებით.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფსასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება

სკოლა უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსებით. საპროგნოზო ბიუჯეტიდან გამოიკვეთა, რომ სკოლის შემოსავლებში სწავლის საფასურისა და ვაუჩერის გარდა, გათვალისწინებულია იჯარით გაცემული ფართებისა და დამატებითი ფასიანი მომსახურების, რომლითაც შეუძლია ისარგებლონ არა მარტო სკოლის, არამედ გარედან შემოსულ მოსწავლეებმაც, გადასახადები. საპროგნოზო ბიუჯეტის ანალიზმა აჩვენა, რომ გათვალისწინებული და შესაძლებელია სამოქმედო გეგმაში, რომელიც ეფუძნება სტრატეგიული განვითარების შვიდწლიან გეგმას, გაწერილი აქტივობების განხორციელება.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

სკოლის წლიური ბიუჯეტის დამტკიცება ხდება ,,ზოგადი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის შესაბამისად. წლიური ბიუჯეტის დაგეგმვა ხორციელდება დირექტორის მიერ, წინა წლის ან საპროგნოზო ბიუჯეტზე დაყრდნობით. სკოლას დადებული აქვს ხელშეკრულება აუდიტურ ფირმასთან "ბაკაშვილი და კომპანია", რომელიც ყველა სხვა მოვალეობასთან ერთად უზრუნველყოფს საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის დოკუმენტალურად დალაგებას, ფულადი სახსრების, სასაქონლე-მატერიალური ფასეულობების ბრუნვისა და ხარჯვის სისწორეს და შესაბამისი დეკლარაციების წარდგენას მაკონტროლებელ ორგანოებში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2023-24;
- საპროგნოზო ბიუჯეტი;
- ხელშეკრულება აუდიტორულ ფირმასთან.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....

.....

.....

07.09.2023 წ

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: